სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

# მომხმარებლის პროფილში რეკვიზიტების დამატების ინსტრუქცია

# მომხმარებლის პროფილის რედაქტირება

2017 წლის პირველი თებერვლიდან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში სისტემა), მომხმარებლის პროფილში შესაძლებელია დამატებითი რეკვიზიტების მითითება. ცვლილების შედეგად პრეტენდენტებს აღარ მოუწევთ ყოველ ტენდერში ისეთი რეკვიზიტების წარდგენა, რომლებიც ასახული იქნება მათ პროფილებში.

კერძოდ, სისტემის მომხმარებლებს შეუძლიათ მათ პროფილებში მიუთითონ შემდეგი სახის მონაცემები:

- ხელმძღვანელი პირის ვინაობა და თანამდებობა;
- მომსახურე ბანკის დასახელება;
- ბანკის კოდი;
- ანგარიშის ნომერი.

იმისათვის, რომ განახორციელოთ თქვენი მომხმარებლის პროფილის რედაქტირება, უპირველეს ყოვლისა უნდა გაიაროთ ავტორიზაცია სისტემაში. სისტემაში შესვლის შემდეგ უნდა გადახვიდეთ პირადი პროფილის გვერდზე, რაც ხორციელდება პროფილი ღილაკის მეშვეობით. მომხმარებლის პროფილის გვერდის მაგალითი ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ სურათზე.




იმისათვის, რომ დაამატოთ ან შეცვალოთ პროფილში ასახული მონაცემები თქვენ უნდა დააჭიროთ რედაქტირება ღილაკს, რის შედეგადაც ეკრანზე გამოვა ქვემოთ მოცემული სურათის მსგავსი ფანჯარა, სადაც თქვენ, შესაბამის ველებში უნდა მიუთითოთ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
- ხელმძღვანელის თანამდებობა;
- მომსახურე ბანკი;
- მომსახურე ბანკის კოდი;
- ანგარიშის ნომერი.




იმისათვის, რომ სისტემამ შეინახოს თქვენს მიერ მითითებული რეკვიზიტები თქვენ უნდა დააჭიროთ ჩაწერა ღილაკს.

# შემსყიდველის მიერ პრეტენდენტის რეკვიზიტების ნახვა

შემსყიდველს პრეტენდენტის რეკვიზიტების ხილვა შეუძლია ტენდერის „შეთავაზებების“ გვერდიდან. რეკვიზიტების სანახავად უნდა დააჭიროთ ღილაკს, რომელიც განთავსებულია პრეტენდენტების დასახელების დასაწყისში, რის შედეგადაც ეკრანზე გამოვა პრეტენდენტის პროფილი (იხ. ქვემოთ მოცემული სურათები).




